

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა

IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
NATIONAL SCIENTIFIC LIBRARY



ბიობიბლიოგრაფიული სერია „ქართველი მეცნიერები“
Biobibliographical Series „Georgian Scholars“

IULON GAGOSHIDZE

Biobibliography

Tbilisi
2015

იულონ გაგოშიძე

ბიობიბლიოგრაფია

თბილისი
2015

012 (გაგოშიძე ი.) + 016: 902(479.22)

გაგ-14

გამოჩენილი ქართველი არქეოლოგის, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის, გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის იულონ გაგოშიძის ბიობიბლიოგრაფიაში თავმოყრილია 1947-2015 წლების მასალა: სამეცნიერო შრომები, სამეცნიერო-პოპულარული სტატიები, მისი რედაქციით გამოცემული შრომები და ლიტერატურა მის შესახებ.

მასალა განლაგებულია ქრონოლოგიურ-ანბანური რიგით. ბიობიბლიოგრაფიას წინ უძღვის იულონ გაგოშიძის სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა, ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი თარიღები. ერთვის სახელთა და გეოგრაფიულ სახელწოდებათა ანბანური საძიებელი.

The biobibliography of the distinguished Georgian archaeologist, Doctor of Historical Sciences, academician of Gelati Academy of Sciences Iulon Gagoshidze, contains the materials of 1947-2015 years: scientific works, scientific-popular articles, works published under his editorship and publications about him.

The material is arranged in chronological-alphabetical order. The biobibliography is prefaced by a short review of scientific and public activities of I. Gagoshidze and dates of his life and activity. Indexes of names and geographical names are applied in alphabetical order.

რედაქტორები: დარეჯან კაჭარავა, ირაკლი ღარიბაშვილი
ბიბლიოგრაფიული რედაქტორი ნანა ბაღათურია
შემდგენლები: მარიკა ჟორჯოლიანი, ლენა ხუხია
კომპიუტერული უზრუნველყოფა მარიკა ჟორჯოლიანი
დამკაბადონებელი ნათია დვალი
გარეკანის დიზაინი: ნინო ხოსრუაშვილი, ნინო ებრალიძე

Editors: Darejan Kacharava, Irakli Garibashvili

Biobibliographic editor Nana Baghaturia

Authors: Marika Zhorzholiani, Lena Khukhia

Computer Marika Zhorzholiani

Prepress Natia Dvali

Cover Design: Nino Khosruashvili, Nino Ebralidze

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის გამომცემლობა

© Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press

ISBN

ISSN 2298-0059



შინაარსი

Contents

იულონ გაგოშიძე – მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე.....	9
Iulon Gagoshidze – Scientist and Public Figure.....	19
იულონ გაგოშიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი თარიღები	26
The Main Dates of Iulon Gagoshidze’s Life and Activity	29
იულონ გაგოშიძის შრომები.....	31
Iulon Gagoshidze’s Works.....	31
პუბლიცისტური სტატიები გაზეთებიდან	66
Publicist Articles from Newspapers	66
იულონ გაგოშიძის გამოუქვეყნებელი მოხსენებები	69
Iulon Gagoshidze’s Unpublished Reports	69
საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდი ნუმიზმატიკისა და ბონისტის განმარტებითი ლექსიკონი მასალები.....	73
Website of National Bank of Georgia Explanatory Dictionary for Numismatists and Bonists, Materials	73
საქართველოს კულტურული მემკვირეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ვებგვერდი, არქეოლოგია, მასალები.....	73
Website of National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia, Archaeology, Materials.....	73

ინტერნეტჟურნალი „ონლაინ არქეოლოგია“, მასალები	74
Internet Journal „Online Archaeology“, Materials	74
იულონ გაგოშიძის რედაქტორობით გამოცემული შრომები	77
Works Edited by Iulon Gagoshidze	77
ლიტერატურა იულონ გაგოშიძის შესახებ	81
Publications about Iulon Gagoshidze.....	81
სახელთა საძიებელი	87
Index of Names	87
გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი	92
Geographical Indexes	92

იულონ გაგომიძე – მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე

იულონ გაგომიძე დაიბადა 1935 წლის 17 ივლისს ქ. თბილისში. მამა – მიხეილი იყო ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი, საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პირველი დირექტორი, ღვარცოფების ბუნების პირველი მკვლევარი და მათთან ბრძოლის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე. დედა – დინარა ყიფშიძე არქიტექტორი, საქართველოს მთავრობის სახლისა და თბილისის სარკინიგზო ინსტიტუტის ნაგებობათა მშენებლობის მონაწილე, რუსთავის განაშენიანების ერთ-ერთი არქიტექტორი. მუშაობდა ძეგლთა დაცვის სამმართველოში. აზომილი აქვს საქართველოს ძეგლები.

ი. გაგომიძის პიროვნების ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვის საოჯახო ტრადიციებს. ყიფშიძეების ცნობილი წარმომადგენლები იყვნენ პაპა ზაქარია ყიფშიძე, რუსეთის არმიის ოფიცერი, რომელმაც სამხედრო კარიერა დაასრულა გენერლის ჩინით დამოუკიდებელ საქართველოში, თუმცა ბუნებით ჰუმანიტარი იყო ისევე, როგორც მისი ძმები: გრიგოლ ყიფშიძე (ილია ჭავჭავაძის მეგობარი) „ივერიის“ რედაქტორი და მთარგმნელი, ალექსანდრე ფრონელი (ყიფშიძე) ისტორიკოსი, საზოგადო მოღვაწე, ილიას პირველი ბიოგრაფი, ავტორი სამეცნიერო პოპულარული წიგნებისა: „ამბოხება კახეთისა (1812 წ)“, „მთიულეთი 1804 წელსა“, „დიდებული მესხეთი“, „მთის არწივი შამილი“, „წარსული, აწმყო და მომავალი ხიზნებისა“ და უმცროსი ძმა ილია – უნივერსიტეტის ერთ-ერთი პირველი პროფესორ-მასწავლებელთაგანი, მინერალოგიის პირველი სახელმძღვანელოს ავტორი. იულონ გაგომიძის განათლებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის დიდედას, ეკატერინე ბერეჟიანს, რომელიც დაწყებითი სკოლის მასწავლებელი იყო.

1953 წელს იულონ გაგომიძემ ოქროს მედლით დაამთავრა თბილისის მე-7 ვაჟთა სკოლა. აქ მიიღო მან საფუძვლიანი განათლება იმ დროისათვის ცნობილი მასწავლებლებისგან: დავით პარკაძე, ვარო ვარდიაშვილი, თამარ ყაზახაშვილი, კატო ბურჯანაძე, კოტე თოთიბაძე და სხვები. ყველა საგანში წარმატებული იყო, განსაკუთრებით კი ფიზიკა-მათემატიკაში.

იულონ გაგომიძემ 1953 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, რომელიც წარმატებით დაამთავრა 1958 წელს. უნივერსიტეტში სწავლის დროს 1956 წელს, აგვისტოში, მონაწილეობდა ბიჭვინთის არქეოლოგიურ ექსპედიციაში (ხელმძღვანელი ა. აფაქიძე), რამაც განსაზღვრა შემდგომში მისი ცხოვრების მთავარი საქმიანობა და იგი გახდა არქეოლოგი. უნივერსიტეტში იმხანად მხოლოდ არქეოლოგიის ზოგადი კურსი ისწავლებოდა, რომელსაც ოთარ ჯაფარიძე კითხულობდა. თუმცა, საქართველოს ისტორიის ჯგუფს, რომელშიც ი. გაგომიძეც იყო, ბოლო სემესტრში (1958 წელს) არქეოლოგიის ერთი სპეცკურსი წაუკითხა ლენინგრადიდან ახლად დაბრუნებულმა ოთარ ლორთქიფანიძემ. 1958-61 წლებში გაიარა ასპირანტურის კურსი ანტიკური ხანის არქეოლოგიის განხრით, აკადემიკოს გ. მელიქიშვილისა და არქეოლოგ ნ. ხომტარიას ხელმძღვანელობით. სტუდენტობისა და ასპირანტურის წლებში ი. გაგომიძემ მიიღო საველე მუშაობის საფუძვლიანი გამოცდილება მცხეთის, ურბნისის, ვანისა და მირმეკიონის (ყირიმი) არქეოლოგიურ ექსპედიციებში ა. კალანდაძის, გ. ლომთათიძის, ა. ჯავახიშვილის, ნ. ხომტარიასა და ვ. გაიდუკვევიჩის ხელმძღვანელობით. 1965 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია („ადრეანტიკური საქართველოს ნივთიერი კულტურის ძეგლები“), 1984 წელს სადოქტორო დისერტაცია („ქართლი ქ.წ. VII-I საუკუნეებში“).

იულონ გაგომიძე ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი და საქართველოს ერთ-ერთი წამყვანი არქეოლოგია. მის მიერ მიკვლეული, არქეოლოგიურად გათხრილი და შესწავლილია საქართველოს ისეთი პირველხარისხოვანი ძეგლები, როგორებიცაა ადრეელინის-

ტური ხანის სამადლოს ნაქალაქარი, გვიანელინისტური-ადრერო-მაული ხანის წარმართული სატაძრო კომპლექსი დედოფლის მინდორზე, მისი თანადროული სამეფო სასახლე დედოფლის გორაზე, ქ.წ. V-III საუკუნეების წარჩინებულთა სამაროვანი ტახტიძირში და სხვა. იულონ გაგომიძის მოღვაწეობაში გამორჩეული ადგილი უკავია საქართველოს ძირძველი ტერიტორიების – ქსნის, ლიახვისა და ფრონის ხეობების არქეოლოგიურ შეწავლას. მან 1960 წელს ქსნის ხეობაში, სოფელ ყანჩაეთთან აღმოაჩინა ქ.წ. IV საუკუნის მდიდრული სამარხეული ინვენტარი. 1970-იან წლებში იმუშავა თიღვაში (ფრონის ხეობა), სამეგრუში, კორინთაში, ალევში (ქსნის ხეობა) და სხვ. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომამდე ყოველწლიურად დადიოდა სამუშაოდ ცხინვალის რეგიონში და ის ერთადერთი არქეოლოგია, რომელმაც კონფლიქტის ზონაში, სოფელ ქემერტში, 2006 წელს აწარმოა არქეოლოგიური გათხრები. 2005 წელს მისი ინიციატივით შეიქმნა ლიახვის ხეობის მუზეუმ-ნაკრძალი.

ი. გაგომიძის ინტერესების სფეროში მოხვდა შუა საუკუნეების საქართველოს არქეოლოგიაც. 2003-2008 წლებში ის ხელმძღვანელობდა საქართველოს საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრის არქეოლოგიურ დეპარტამენტს. მისი ხელმძღვანელობით ჩატარდა მცხეთის ჯვარზე, წრომში, ყინწვისსა და ელიას მონასტერში (დედოფლის წყარო) სარესტავრაციო სამუშაოებთან დაკავშირებული არქეოლოგიური კვლევა-ძიება. 2006 წელს, როდესაც გადაწყდა სვეტიცხოველში იატაკის დონის დაწვევა, მასვე დაევალა არქეოლოგიური გათხრების ჩატარება.

იულონ გაგომიძეს, როგორც დიდი საველე გამოცდილების მქონე გამთხრელ არქეოლოგს დაევალა საქართველოს საზღვრებსგარეთ გაგზავნილი პირველი არქეოლოგიური ექსპედიციების გაძღოლა და იქ არსებული ძველი ქართული მონასტრების ნანგრევების გათხრა--შესწავლა. მისი მონაწილეობით, 2004 წელს გაითხარა V-VI საუკუნეების ქართული მონასტრის ნაშთები უმლეიზუნში, იერუსალიმის მახლობლად. 2006-2008 წლებში იგი ხელმძღვანელობდა X-XVI საუკუნეების ღალიის ქართველთა მონასტრის გათხრებს კვიპროსზე.

იულონ გაგოშიძის სამეცნიერო ინტერესები მოიცავს ანტიკური ხანის საქართველოს არქეოლოგიისა და ისტორიის საკითხების ფართო სპექტრს: ოქრომჭედლობა, ტორეტიკა, კერამიკული წარმოება, სამშენებლო საქმე და ხუროთმოძღვრება, სოფლის მეურნეობა და სასოფლო-სამეურნეო იარაღები, ირიგაცია, სამხედრო საქმე და საბრძოლო იარაღ-საჭურველი, დამწერლობა, ქართლის სამეფოს (იბერიის) საზღვრები და საქართველოს (კოლხეთისა და იბერიის) სავაჭრო-ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური ურთიერთობები გარესამყაროსთან, როგორც აღმოსავლეთთან (ირანი, არმენია, სირია-პალესტინა) და ჩრდილოეთთან (სკვითები, სარმატები, ალანები), ისე კლასიკურ ქვეყნებთან – საბერძნეთთან, რომსა და მცირე აზიასთან.

იულონ გაგოშიძეს გამოქვეყნებული აქვს 9 მონოგრაფია:

ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან, თბ. 1964;

Самаძло. Археологические раскопки, Тб., 1979;

Самаძло. Каталог археологического материала, Тб., 1981;

ქართველი ქალის სამკაული, თბ. 1981 (ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებზე);

თრიალეთის სამაროვნები, III, თრიალეთის ანტიკური ხანის სამაროვნები, თბ., 1982 (ქართულ და რუსულ ენებზე);

Au pays de la Toison d'or. Art ancien de Géorgie Soviétique, Paris, 1982 (თანაავტორი)

ფული საქართველოში, თბ., 2000 (ქართულ და ინგლისურ ენებზე; თანაავტორი);

Iberia and Rome. The Excavations of the Palace at Dedoplis Gora and the Roman Influence in the Caucasian Kingdom of Iberia, Langenweissbach: Beier & Beran, 2008 (თანაავტორი და თანაგამომცემელი)

ღალია, ქართველთა მონასტერი კვიპროსზე, თბ., 2014 (ქართულ და ინგლისურ ენებზე, თანაავტორი).

ასევე ავტორია სამასამდე სამეცნიერო სტატიისა ქართულ, რუსულ, აზერბაიჯანულ, ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ და სპარსულ ენებზე არქეოლოგიის, ისტორიის, ასევე, ხელოვნებათმცოდნეობისა და ინფორმატიკის დარგში. მისი გამოკვლევების შედეგად

საფუძვლიანად შეიცვალა არსებული წარმოდგენები საქართველოს ადრესახელმწიფოებრივი პერიოდის ნივთიერი კულტურის, ისტორიის მთელ რიგ კარდინალურ ასპექტზე. ასე, მაგალითად, სამადლოს გათხრა-შესწავლის შედეგად პირველად მოხერხდა ქ.წ. III საუკუნის არქეოლოგიური მასალის მკვეთრად გამიჯვნა წინამორბედი და მომდევნო პერიოდის მასალებისაგან და იმ დროისათვის ახლად ჩამოყალიბებული ქართლის სამეფოს (იბერიის) ნივთიერი კულტურის სრულად წარმოჩენა. სამადლო ელინისტური ხანის საქართველოს არქეოლოგიის ეტალონურ ძეგლად იქცა, მაგალითად, „სამადლოური კერამიკა“ ჩვეულებრივი და საყოველთაოდ სახმარი ტერმინია არქეოლოგიურ სპეციალურ ლიტერატურაში.

ქ.წ. II დ ქ.წ. I საუკუნეების დედოფლის მინდვრის სატაძრო კომპლექსის აღმოჩენამ და მისი გათხრა-შესწავლის შედეგების გააზრებამ აქემენიდური და ელინისტური ხუროთმოძღვრების ფონზე პირველად დაგვანახა, რომ იბერია ნამდვილად იყო ელინისტური სამყაროს განუყოფელი ნაწილი და შეცვალა გავრცელებული თვალსაზრისი, თითქოს მონუმენტური სატაძრო ნაგებობის შექმნის ამოცანა საქართველოში პირველად ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ დაისვა. აქემენიდური და ელინისტური ხანის საქართველოს ნივთიერი კულტურის შესწავლამ ი. გაგოშიძეს უფლება მისცა ემტკიცებინა, რომ საქართველოში უკვე აქემენიდურ ხანაში ხდებოდა სპარსულ-აქემენიდური და ელინური კულტურული იმპულსების შეხვედრა და მათი ადგილობრივი ტრადიციების საფუძველზე შერწყმა-ათვისება, რის შედეგადაც იქმნებოდა ხელოვნების ისეთი ნაწარმი, რომელსაც ისევე შეიძლება ეწოდოს „ბერძნულ-აღმოსავლური“, როგორც ეწოდება (ბორდმანი) დანარჩენ ახლო აღმოსავლეთში, აქემენიდურ და ელინისტურ ხანაში შექმნილ ძეგლებს. ი. გაგოშიძემ დაასაბუთა, რომ აქემენიდურ ხანაში შეთვისებული ეს ნოვაციები საქართველოში რომაულ ხანამდე შემორჩა და ამიტომ არის, რომ დედოფლის გორის სასახლეში (და სხვაგანაც ისტორიული იბერიის ტერიტორიაზე) აღმოჩენილი I საუკუნის ძვლის ფირფიტებზე გრავირებული სცენები ასეთ საოცარ მსგავსე-

ბას იჩენს სასაანური ხელოვნების ძეგლებთან. სასაანური ხელოვნებაც ხომ აქემენიდურის ერთგვარი რენესანსია.

დედოფლის გორაზე I საუკუნის ბოლო მეოთხედში ძლიერი მიწისძვრითა და ხანძრით უეცრად განადგურებული სასახლის გათხრების შედეგად მოპოვებული მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ნივთიერი მასალის ანალიზი შესაძლებლობას იძლევა, გასაოცარი სისრულითა და ეთნოგრაფიული სიზუსტით წარმოჩინდეს იმდროინდელი ქართლის სამეფოს ნივთიერი და სულიერი კულტურის თითქმის ყველა სფერო და საქართველოს გარე სამყაროსთან ურთიერთობის საკითხები, რაც განხორციელებულია კიდევ ი. გაგოშიძის მთელ რიგ სტატიებში და INTAS-ის გრანტით 1996-1998 წლებში მისივე ხელმძღვანელობით შესრულებულ კოლექტიურ მონოგრაფიაში „ქართლის სამეფო (იბერია) და რომი ქ.წ. I- ქ.წ. I საუკუნეებში“, რომელიც 2008 წელს გამოქვეყნდა გერმანიაში ინგლისურ ენაზე.

ტახტიძირში ქ.წ. V-III საუკუნეების სამაროვნის გათხრამ ი. გაგოშიძეს უფლება მისცა, გამოეთქვა ვარაუდი შიდა ქართლის კოლხეთის სამეფოს ფარგლებში არსებობისა და იბერიასა და კოლხეთს შორის კულტურული კონტინუუმის შესახებ. სწორედ ამ პრობლემების კვლევას ითვალისწინებს მისი ხელმძღვანელობით წარმოდგენილი პროექტი „საქართველო და გარე სამყარო ქ.წ. IV-III საუკუნეებში“, რომელმაც მიიღო რუსთაველის ფონდის სახელმწიფო გრანტი. ყურადღებას იპყრობს იულონ გაგოშიძის ნარკვევი ქართლში ქრისტიანობის გავრცელება-დამკვიდრების შესახებაც.

იულონ გაგოშიძე დიდი ავტორიტეტით სარგებლობს როგორც ქართველ, ისე უცხოელ კოლეგებს შორის. ის მიწვეული იყო სამუშაოდ კახეთის ქართულ-გერმანულ ექსპედიციაში, რომელმაც იმუშავა 1994-2002 წლებში (ხელმძღვანელები: კ. ფიცხელაური და ა. ფურტვენგლერი) და ექსპედიციის გერმანელმა ხელმძღვანელმა მასვე მიაბარა სასწავლებლად ექსპედიციის მონაწილე გერმანელი სტუდენტები. გერმანელ კოლეგებთან ურთიერთობა გაგრძელდა აზერბაიჯანში, სადაც 2006 წლიდან მუშაობა დაიწყო აზერბაიჯან-

ნულ-ქართულ-გერმანულმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, რომელმაც აზერბაიჯანის რესპუბლიკის შამქორის რაიონის სოფელ ყარაჯამირლის მახლობლად, საქართველოს სამხრეთ საზღვართან, მიაკვლია და შეისწავლა ქ.წ. V-IV საუკუნეების სპარსულ-აქემენიდურ სასახლეები, აქემენიანთა ერთ-ერთი სატრაპიის ცენტრი.

იულონ გაგომიძემ მრავალმხრივი და ფართო ინტერესების მქონე მკვლევარია, რომელიც მუდამ სიახლეებს ეძებს. მან პირველმა ქართველ არქეოლოგთაგან გამოიყენა აეროფოტოები, რის შედეგადაც ათეულობით მანამდე უცნობი ძეგლი გამოვლინდა შიდა ქართლში, მათ შორის ისეთი მნიშვნელოვანი ძეგლები, როგორებიცაა ბერიკლდეების ნამოსახლარი, ყორღანული ველი, დოღლაურის ვრცელი სამაროვანი. მისივე ხელმძღვანელობით გაითხარა ადრეული და გვიანდელი ბრინჯაოს ხანის შვიდი ყორღანი ბერიკლდეებზე და იმავე პერიოდის 400-ზე მეტი სამარხი დოღლაურის სამაროვანზე. იულონ გაგომიძემ პირველმა ჯერ კიდევ 1970-იან წლებში დაიწყო მუშაობა არქეოლოგიური და სამუზეუმო მონაცემების კომპიუტერიზაციის პრობლემებზე და მუდამ იჩენს აქტიურ ინტერესს ინტერდისციპლინარული კვლევებისადმი, არქეოლოგიური კვლევის დროს იგი სისტემატურად თანამშრომლობდა და თანამშრომლობს საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა წარმომადგენლებთან, ხელოვნებათმცოდნეებთან. მისი ხელმძღვანელობით მომზადებული ექვსი დისერტაციიდან, სამი ინტერდისციპლინარულ კვლევას ემყარება.

იულონ გაგომიძე ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობასაც. 1978-1988 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე კითხულობდა წინაქრისტიანული ხანის სომხეთის კულტურის ისტორიის კურსს. 2013 წელს კონკურსით აირჩიეს ილიას უნივერსიტეტში სრულ პროფესორად არქეოლოგიის დარგში. დაევალა სასწავლო პროგრამის მოწესრიგება და წაიკითხა ლექციების კურსი „არქეოლოგიის საფუძვლები“. 2013-2014 წლებში საქართველოს უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე კითხულობდა ლექციების კურსს ქართული ლითონმქანდა-

კებლობის ისტორიაში. წაკითხული აქვს საჯარო ლექციები არქეოლოგიის სხვადასხვა პრობლემაზე ჰალეს, მიუნსტერის, იენის (გერმანია) და აარხუსის (დანია) უნივერსიტეტებში. სისტემატურად მონაწილეობდა სამეცნიერო კონფერენციებში, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ (სომხეთი, აზერბაიჯანი, გერმანია, საფრანგეთი, აშშ, საბერძნეთი, თურქეთი, ირანი, დანია, რუსეთი). 2013 წლიდან ეროვნულ მუზეუმში ახალგაზრდა არქეოლოგებისთვის კითხულობს ლექციების კურსს არქეოლოგიის პრობლემებზე.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის რედაქციის დაარსების დღიდან ენციკლოპედიის ბოლო XI ტომის გამოცემამდე ი. გაგოშიძე მუშაობდა რედაქტორ-კონსულტანტად არქეოლოგიის დარგში. 2011-2014 წლებში ი. გაგოშიძე ხელმძღვანელობდა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში არქეოლოგიური მემკვიდრეობის მართვის ცენტრს, რომელმაც მოამზადა მასალები არქეოლოგიური მემკვიდრეობის მართვის რეფორმებისათვის. ელექტრონულად აღინუსხა და ინტერნეტში განთავსდა საქართველოს არქეოლოგიური ძეგლების აღწერილობა. მან დააარსა ქართულ-ინგლისური სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი „ონლაინ არქეოლოგია“ (გამოიცა ექვსი ნომერი).

ი. გაგოშიძე ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში მუშაობის დაწყებიდანვე აქტიურად იყო ჩაბმული მუზეუმის საგამოფენო საქმიანობაში. მონაწილეობდა არაერთი გამოფენის მოწყობაში: საქართველოს არქეოლოგიური გამოფენა, სეიფის გამოფენა, ეთნოგრაფიული გამოფენა ლენინგრადში, არქეოლოგიური გამოფენა მოსკოვში, გამოფენა პარიზში „ოქროს საწმისის ქვეყანა“, არქეოლოგიური გამოფენა სიღნაღის მუზეუმში, მეღვინეობა-მევენახეობის 8000 წელი, ქართველი ებრაელები – ისტორია და თანამედროვეობა, არქეოლოგიური საგანძური, საქართველოს არქეოლოგია და სხვა.

ი. გაგოშიძის ინტერესები არასოდეს ივარგლება მხოლოდ მეცნიერებით, იგი აქტიურად ებმება საზოგადოებრივ ცხოვრებაში. 1978 წელს ის ერთ-ერთი ინიციატორი იყო საზოგადოებრივი პრო-

ტესტისა, რომელმაც აღკვეთა ხელისუფლების მხრიდან სამუზეუმო ფასეულობათა ხელყოფის მცდელობა „აფხაზეთიდან მიტაცებული განძეულის უკან დაბრუნებისა“. ს. ჯანაშიას სახელობის მუზეუმში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანთან ე.შევარდნაძესთან შეხვედრაზე წარმოთქმულ სიტყვას ფართო რეზონანსი მოჰყვა და ზვიად გამსახურდიამ „ოქროს საწმისის“ ბოლო ნომერში გამოაქვეყნა. 80-იან წლებში ი. გაგოშიძე ჩაება თბილისის სარეკრეაციო ზონისა და მიმდებარე სოფლების გადარჩენისთვის ბრძოლაში. შემდეგ კი აქტიური მოწინააღმდეგე იყო ტრანსკავკასიური რკინიგზის მშენებლობისა. შედეგად, მწვანეთა მოძრაობის დამფუძნებელთა ჯგუფში აღმოჩნდა.

ი. გაგოშიძე 1991 წელს დაინიშნა მცხეთის რაიონის პრეფექტად. 2004-2007 წლებში იყო თბილისის საკრებულოს წევრი. 2008-2009 წლებში იყო საქართველოს სახელმწიფო მინისტრი დიასპორის საკითხებში. მისი ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა სამსახური, რომელმაც თავის გარშემო შემოიკრიბა მსოფლიოს 56 ქვეყანაში გაფანტული ქართული დიასპორა. ამუშავდა მძლავრი ვებპორტალი, რომელზეც განთავსდა ქართულ-აზერბაიჯანული და ქართულ-სომხური სასაუბროები. მისი ხელმძღვანელობით მომზადდა ელექტრონული ვერსიები „დიასპორა მთელ მსოფლიოში“ და „ლაზური ლექსიკონი“. ფლემ ფორმატში გაკეთდა ინტერნეტურნალი „დიასპორის მაცნე“, რომელიც შეიცავდა როგორც ვიდეო, ისე აუდიო ფაილებს. გამოიცა არაერთი წიგნი: თ. პაპუაშვილის „საინგილოს ისტორია“; ვ.კუზიბაბაშვილის „ინგილოური დიალექტი“; ჟორჟ დიუმევილის „ლაზური ტექსტები“; ისა კოაზოის მოთხრობების ქართული თარგმანი; ჩვენებურების კალენდარი (ქართული დიასპორას 12 გამორჩეული წარმომადგენლის პორტრეტითა და მოკლე ბიოგრაფიით); თურქეთში მცხოვრებ ქართველებთან ერთად განხორციელდა უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური პროექტი კახეთში და პირველად საქართველოში სიღნაღის რაიონში გაშენდა ზეთისხილის პლანტაცია (2010 წელს აქ ზეთისხილის პირველი რთველი ჩატარდა). მხოლოდ 2009 წელს მინისტრმა უმასპინძლა

უცხოეთიდან ჩამოსულ 400-ზე მეტ დელეგაციასა და ცალკეულ პირს.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატმა მოახერხა მთელ მსოფლიოში გაფანტული ქართველების მობილიზება, რათა მათ ერთდროულად ჩაეტარებინათ საპროტესტო აქციები საქართველოს მხარდასაჭერად; ორგანიზება გაუწია საპროტესტო ჯაჭვს მთელ მსოფლიოში. 2008 წლის ომის დროს მხოლოდ დიასპორას სამინისტროს პორტალი გადაურჩა რუსეთის კიბერშეტევას და ეს იყო საქართველოს ერთადერთი ელექტრონული კავშირი მთელ მსოფლიოსთან.

2008 წლის სექტემბერში კრინიცაში (პოლონეთი) XVIII მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე იულონ გაგომიძემ წაიკითხა მოხსენება „რუსეთის როლი პოსტსაბჭოთა სივრცეში“, რომელშიც გაანალიზებულია რუსეთის დესტრუქციული ქმედებები და ნაჩვენებია, რომ რუსეთის აგრესიას საქართველოს წინააღმდეგ გაგრძელება ექნებოდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. 2008-2009 წლებში დიასპორის სახელმწიფო მინისტრმა და მისმა აპარატმა 24-საათიანი მუშაობით მოახერხეს, დაეძლიათ მძლავრი რუსული საინფორმაციო შეტევა და ძირშივე აღეკვეთათ რუსეთის ხელისუფლების ანტიქართული გამოსვლების მცდელობები ქართულ დიასპორაში. 2009 წელს ორთოდოქს ჰოსპიტალიერების ორდენის კანცლერმა მაიკლ ბრეტ-გროუტერმა იულონ გაგომიძე ომისა და გამარჯვების ბრიტანული მედლებით დააჯილდოვა.

იულონ გაგომიძეს მიღებული აქვს საქართველოს სახელმწიფო ჯილდოები: ღირსების ორდენი 2005 წელს, ბრწყინვალეების საპრეზიდენტო ორდენი 2010 წელს. მოპოვებული აქვს 6 სამეცნიერო-კვლევითი გრანტი, მათ შორის ერთი საერთაშორისო გრანტი: INTAS 96-0054 (ქართლის სამეფო და რომი ქ.წ. I – ქ.შ. I სს.). არის 6 საკანდიდატო დისერტაციის ხელმძღვანელი არქეოლოგიის დარგში (მათ შორის 3 ინტერდისციპლინარული კვლევა).

Iulon Gagoshidze – Scientist and Public Figure

Iulon Gagoshidze was born on July 17, 1935 in Tbilisi, Georgia. His father, Mikheil Gagoshidze was an engineer in hydro-technology, Doctor of Technical Sciences, honored scientist, professor, the first director of the Georgian Scientific Research Institute of Hydraulic Engineering and Land reclamation, the first Georgian researcher of the nature of mud flows and the chairman of the state committee for the mud flow management. His mother, Dinara Kipshidze was an architect, who took part in the construction of the Georgian House of Government and the buildings for Tbilisi Institute of Railway; she was also one of those architects, who were involved in the urban planning of Rustavi. She worked at the State Department of Monument Protection. She has surveyed and studied Georgian monuments.

Georgian family traditions have made a remarkable influence to the development of I. Gagoshidze's personality. The well-known representatives of the Kipshidzes were his grandfather, Zakaria – a Russian army officer, who completed his career as a Military General in the independent Georgia. However, he was a humanitarian by nature, as well as his brothers: Grigol Kipshidze (a friend of Ilia Chavchavadze) – an editor of „Iveria” and translator, Alexander Phroneli (Kipshidze) – historian, public figure, Ilia Chavchavadze's first biographer, author of popular scientific books: „Uprising Kakheti (1812)”, „Mtiuleti in 1804”, „The Glorious Meskheti”, „Shamil The Mountain Eagle”, „Past, present and future of Settlers” and finally his younger brother Ilia – one of the first professors at Tbilisi State University, the first Georgian author of the textbook in Mineralogy. Iulon Gagoshidze's grandmother, Katherine Berejhiani, a primary school teacher, made a significant contribution to his education. In 1953 he finished the 7th Boys School with a gold medal. He received a comprehensive education as he was taught by famous teachers of that time: David Parkadze, Varo Vardiashvili, Tamar Kazakhashvili, Kato Burjanadze, Kote Totibadze and others. He was successful in all subjects, especially in physics and mathematics.

In 1953 Iulon Gagoshidze enrolled in the Department of History of Tbilisi State University and successfully graduated from it in 1958. During his study at the University in August 1956, he took place in Bichvinta (Pitsunda) archaeological expedition (led by A. Apakidze), which defined his

further determination to become an archaeologist. At that time only the general course in archaeology was taught by Otar Japaridze at Tbilisi State University. However, a special course in archaeology was also taught (in 1958) by Otar Lortkipanidze, who had arrived from Leningrad. In 1958 he completed post-graduate course in ancient archaeology, led by the academician G. Melikishvili and the archaeologist N. Khoshtaria and completed the course in 1961. During his postgraduate years I. Gagoshidze gathered significant experience of archaeological expeditions in Mtskheta, Urbnisi, Vani and Mirmekion (Crimea) led by A.Kalandadze, G. Lomtadze, A.Javakishvili, N. Khoshtaria, V. Gaidukevich. In 1965 he defended his candidates dissertation („The Monuments of Material Culture of Ancient Georgia”) and in 1984 – doctoral dissertation („Kartli in VII-I centuries B.C. „).

Iulon Gagoshidze is a Doctor of Sciences in History and one of the leading archaeologists in Georgia. He has discovered archaeologically excavated and studied such primary monuments, like Samadlo settlements of early Hellenistic period, pagan temple complex at Dedoplist Gora of late Hellenistic and Roman periods, the royal palace at Dedoplist Gora, other burials of the nobles of the V and III centuries B.C. in Takhtidziri, etc. Archaeological studies of ancient territories such as Ksani, Liakhvi and Phroni have a distinctive place in Iulon Gagoshidze's activities. In 1960 he studied the IV century burial ground discovered near Kanchaeti village, rich for tools. In the 1970s he worked in the following territories: Tighva (Phroni Valley), Sadzeguri, Korinta, Alevi (Ksani Valley) and others. He visited Tskhinvali region each year before the beginning of the Russo-Georgian War in 2008 and he is the only archaeologist, who conducted archaeological excavations in the conflict zone – Kemerli village in 2006. In 2005 the Liakhvi Valley Museum-Reserve was founded by his initiative.

I. Gagoshidze's sphere of interests was the archeology of Medieval period of Georgia. In 2003-2008 he was the head of the Archaeological Department for Architecture, Art and Restoration Center of the Georgian Patriarchate. Under the leadership of I. Gagoshidze the expedition restoration works were performed in Jvari (Mtskheta), Tsromi, Kintsvisi and Elia Monastery (Dedoplistskaro). In 2006 when it was decided to lower the floor level in Svetitskhoveli, he was appointed to conduct excavations.

Iulon Gagoshidze, as a field archaeologist with an extensive experience, was assigned to lead the first archaeological expeditions outside Georgia

and study the ruins of the ancient Georgian monasteries. In 2004 he took part in the excavation of the remains of the V and VI centuries Georgian monastery in Umm Leisun, near Jerusalem. 2006-2008 he led the excavations of Georgian monasteries of the X and XVI centuries in Cyprus.

Iulon Gagoshidze's scientific interests include a wide range of issues related to the ancient Georgian archaeology and history: Gold metalworking, Toreutics, Ceramic manufacturing, construction and architecture, agriculture and agricultural tools, irrigation, military service and combat arms and armor, the alphabet, the borders of the kingdom of Kartli (Iberia) and trade-economic, cultural and political relations of Georgia (Colchis and Iberia) with the outside world, including the Eastern (Iran, Armenia, Syria, Palestine), Northern (Scythians, Sarmatians, Alans) and classical countries (Greece, Rome and Asia Minor).

Iulon Gagoshidze has published nine monographs:

Antiques from Ksani Valley, Tbilisi, 1964;

Самадло. Археологические раскопки, Тб., 1979;

Самадло. Каталог археологического материала, Тб., 1981;

The Georgian women jewelry, Tbilisi, 1981 (in Georgian, Russian and Spanish languages);

Trialeti burials, III, Trialeti antique burials, Tb., 1982 (in Georgian and Russian);

Au pays de la Toison d'or. Art ancien de Géorgie Soviétique, Paris, 1982 (co-author);

Money in Georgia, Tb., 2000 (in Georgian and English; co-author);

Iberia and Rome. The Excavations of the Palace at Dedoplist Gora and the Roman Influence in the Caucasian Kingdom of Iberia, Langenweissbach: Beier & Beran, 2008 (co-author and co-publisher);

The Georgian monastery in Cyprus, Tb., 2014 (in Georgian and English, co-author).

As well as about three hundred scientific articles in Georgian, Russian, Azerbaijanian, English, French, German and Persian languages in the fields of archaeology, history, art history and computer sciences. His studies changed the existing concepts on principal aspects of culture and history of ancient Georgia. For example, as a result of his study of Samadlo, the III century A.D. archaeological artefacts were dissociated from artefacts of previous and subsequent periods, which enabled the researchers to reveal culture of the newly

formed Kingdom of Kartli (Iberia). Samadlo became a standard for archaeological sites of Hellenistic Georgia, for example „Sadamlo Ceramics” is a common and generally applied term in archaeological literature.

In the II century B.C. and I century A.D. the results of the discovery and the study of temple complex at Dedoplis Gora and its comparison to Achaemenid and Hellenistic architectures showed that Iberia certainly was an integral part of the Hellenistic world. This study has changed a widespread view, that creation of monumental temple buildings in Georgia became essential after the spread of Christianity.

The studies of artefacts of Achaemenid and Hellenistic periods allowed Gagoshidze to claim that Persian-Achaemenid and Hellenistic cultural impulses were coincident and merged with traditions of Achaemenid Georgia, consequently created artefacts could be called „Greek East”, likewise the Achaemenid and Hellenistic monuments of the Near East. I. Gagoshidze proved that these innovations, introduced to Georgia in the Achaemenid period, survived till the Roman era and that is why the scenes engraved on the bone plates discovered in the palace at Dedoplis Gora (and also in the area of historic Iberia) are surprisingly similar to Sasanian art monuments: Sasanian art is a kind of renaissance of the Achaemenid one.

The analysis of numerous and diverse artefacts discovered as a result of excavations in the palace at Dedoplis Gora, destroyed by powerful earthquakes and the fire in the last quarter of the I century, enables the researchers to display with astonishing precision and completeness almost all areas of spiritual and material cultures of the Kingdom of Kartli and the relations of Georgia with the outside world, which is described in a number of articles and a collective monography – „The kingdom of Kartli (Iberia) and Rome in the I century B.C. and I century A.D. „, which was published in 2008 in Germany in English language.

Excavation of the cemetery of V-III centuries B.C. in Takhtidziri allowed I. Gagoshidze to presume the existence of Shida Kartli within the boundaries of the Kingdom of Colchis and also a cultural continuum between Iberia and Colchis. Under his leadership a project „Georgia and the Outside World in IV-III Centuries B.C.” received a state grant of Rustaveli Foundation involving the study of the above-mentioned problems. Iulon Gagoshidze's essay about distribution and introduction of Christianity in Kartli attracts attention.

Iulon Gagoshidze's authority in these disciplines is recognized by Georgian and foreign colleagues. That is why in 1994-2002 he was invited to participate in the Georgian-German expedition in Kakheti (the expeditions were led by I. Pitshelauri and A. Purtvengler) and one of the heads of the expedition (A. Purtvengler) apprenticed German students with him.

Collaborations with German students continued in Azerbaijan, where the Azeri-Georgian-German expedition begun in 2006. During the expedition Persian-Achaemenid palaces, Achaemenid satrapy centers of V-IV B.C., were discovered and studied near Karajamirli, Shamkori region of Azerbaijan, close to the southern border of Georgia.

Iulon Gagoshidze is a versatile researcher with a wide range of interests. He is always looking for novelties. He was the first of the Georgian archaeologists who used the air-photos, which resulted in dozens of previously unknown monuments identified in Shida Kartli region including: Beriklde settlements, mound velley and Doghlauri cemetery. He led excavations of seven burial grounds of the Early and Late Bronze Age and 400 burials of the same period in Doghlauris cemetery. In the 1970s Gagoshidze was the first to start working on the problem of computerization of archaeological data. He always reveals an active interest to the problems of interdisciplinary studies. During the archaeological research he regularly collaborated with the representatives of the sciences, art history and applied sciences. The three of his students' six dissertations are based on interdisciplinary research.

Gagoshidze was active in education. In 1978-1988 he taught the course of the history of Armenian culture of the pre-Christian period at the Department of Oriental Studies of Tbilisi State University. In 2013 he was elected as a full professor in archeology at Tbilisi Ilia University. He was assigned to administer the university archeology program and also delivered lectures on „The Principles of Archaeology”. In 2013-2014 he taught the course of the history of Georgian metal sculpture at the Department of Humanities of The University Of Georgia. He delivered public lectures on various problems in archaeology at the universities of Halle, Münster, Jena (Germany) and Aarhus (Denmark). He regularly participated in scientific conferences, both in Georgia and abroad (Armenia, Azerbaijan, Germany, France, USA, Greece, Turkey, Iran, Denmark, Russia). Since 2013 he has been teaching the course in archaeology at the National Museum of Georgia.

Gagoshidze worked as an editor-consultant for the Georgian Soviet Encyclopedia in the field of archaeology from the establishment of its editorial board, till the publication of the last volume XI. In 2011-2014 Gagoshidze led the Archaeological Heritage Preservation Center at the National Agency for the Preservation of Cultural Heritage, which prepared materials for reforming of archaeological heritage management. The descriptions of archaeological sites and monuments were published online. He founded the popular Georgian-English scientific magazine „Online Archeology” (six volumes were published).

Since the beginning of his work at Janashia State Museum of Georgia, I. Gagoshidze had been involved in organization of the following exhibitions: exhibition of Georgian archaeology, ethnographic exhibition in Leningrad, archaeological exhibition in Moscow, exhibition „The Country of Golden Fleece” in Paris, archaeological exhibition in Signaghi museum, „8 000 Years of Wine-making”, Georgian Jews exhibition „History and Modernity”, archaeological treasures, Georgian archaeology, etc.

I. Gagoshidze's interests were not limited only to science. He is actively involved in public activities. In 1978 he was one of the initiators of public protest, which has prevented the government from the attempts to deprive the museum of its treasures – „to return the treasury back to Abkhazia”. His address to E. Shevardnadze, then a Secretary of the Central Committee of Communist Party, at S. Janashia State Museum attracted a wide interest. It was published by Zviad Gamsakhurdia in the last issue of a „Golden Fleece” magazine.

In the 80s Gagoshidze was involved in the activity for the preservation of recreation areas of Tbilisi and surrounding villages. Then he was an active opponent of the construction of Trans-Caucasian Railway. As a result he became founders of Georgian Green Movement.

In 1991 he was appointed as a Prefect of Mtskheta region. In 2004-07 he was a member of the City Council. In 2008-2009 he served as the State Minister for Diaspora Issues. Under his leadership ministry formed an agency, which communicated with Georgian diaspora spread in 56 countries; a powerful web-portal was launched, Georgian-Azerbaijani and Georgian-Armenian phrasebooks were published online. He supervised publications: „Diaspora all over the world” – electronic version; „Laz dictionary” – electronic version; Internet journal in a flash-format „The Diaspora Messen-

ger” containing both video and audio files. Also quite a few books: „The History of Saingilo” by T. Papuashvili; „The Ingil Dialect” by V. Kuzibashvili; „The Laz Texts” by Georges Dumézil; Georgian translations of Issa Koazoy's tales; The Chveneburi Calendar (with the portraits and short biographies of 12 distinguished representatives of the Georgian diaspora in Turkey). The significant economic projects (in cooperation with the Georgians living in Turkey) were implemented in Kakheti – the first olive plantations were planted in Signaghi region (the first harvesting was in 2010). Only in 2009 the minister hosted more than 400 foreign delegations and individual visitors.

During the Russo-Georgian War of 2008 the Office of the Georgian State Minister for Diaspora Issues managed to mobilize the Georgians all over the world to support Georgia and organize protest chains all over the world. Just the above-mentioned Ministry portal survived from Russian cyberattacks and it was Georgias only electronic access to the entire world in August 2008.

Iulon Gagoshidze gave a speech at the XVIII World Economic Forum in September 2008 in Krynica (Poland). His speech – „Russia's Role in the Post-Soviet Space” analyzed the destructive actions of Russia and showed that Russian aggression against Georgia could be continued in the East European countries. In 2008-2009 the office of the Georgian State Minister for Diaspora Issues managed to overcome the attack of powerful Russian media and prevent the Russian Government's anti-Georgian activities in the Georgian Diaspora. In 2009 Michael Brett-Grouter, the bearer of the Chancellor of the Order of Orthodox hospitallers awarded the British Order of Victory to Iulon.

Iulon Gagoshidze has received the following awards: The Medal of Honor in 2005, The Presidential Order of Excellence.

Iulon Gagoshidze has received six scientific research grants including the International one: INTAS 96-0054 (The Kingdom of Kartli and Rome in the I century B.C. and I century A.D.). Six dissertations under his supervision (including three interdisciplinary researches) are defended in the field of archaeology.

იულონ გაბოშიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი თარიღები

- 1935 წ. 17 ივლისს დაიბადა ქ. თბილისში.
- 1953 წ. ოქროს მედლით დაამთავრა თბილისის მე-7 ვაჟთა სკოლა.
- 1953-1958 წწ. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე.
- 1958-1961 წწ. სწავლობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ასპირანტურაში – ანტიკური ხანის არქეოლოგიის სპეციალობით.
- 1961 წლიდან მუშაობს ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში (ამჟამად საქართველოს ეროვნული მუზეუმი) სხვადასხვა თანამდებობებზე: უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი, სწავლული მდივანი, უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, განყოფილების ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერ თანამშრომელი.
- 1956 წ. ბიჭვინთის ექსპედიციის წევრია.
- 1957, 1958, 1978 წწ. მცხეთის ექსპედიციის წევრია.
- 1957, 1958, 1959 წწ. ვანის ექსპედიციის წევრია.
- 1958-1963 წწ. ურბნისის ექსპედიციის წევრია.
- 1960 წ. მირმეკიონი (ყირიმი), ექსპედიციის წევრია.
- 1962-1963 წწ. ითხვისის ექსპედიციის ხელმძღვანელის მოადგილეა.
- 1965 წელს მიენიჭა ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის წოდება.
- 1965-1990 წწ. კითხულობს ლექციებს თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწ. უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე სომხური კულტურის ისტორიაში.
- 1966 წ. საჩხერის ექსპედიციის წევრია.
- 1966-1972, 1976 წწ. სამადლოს ექსპედიციის ხელმძღვანელია.
- 1968-1982 წწ. ქსნის ხეობის ექსპედიციის ხელმძღვანელია.
- 1969-1970 წწ. კახეთის (ვაჩნაძიანი, სადულა), ექსპედიციის წევრია.
- 1971 წ. კავთისხევის ციხიაგორაზე არქეოლოგიური გათხრების ექსპედიციის ხელმძღვანელია.

- 1972-1984, 2014 წწ. დედოფლის მინდვრის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელია.
- 1975-1987 წწ. ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის რედაქტორ-კონსულტანტია არქეოლოგიაში.
- 1978 წ. თხოთის მთის არქეოლოგიური გათხრების ექსპედიციის ხელმძღვანელია.
- 1978-1988 წწ. მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ინფორმაციის ცენტრში, არქეოლოგიური და სამუზეუმო კომპიუტერული კატალოგიზაციის ჯგუფის ხელმძღვანელად.
- 1978-2003 წწ. კითხულობს ლექციებს თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწ. უნივერსიტეტში, ჰალეს, მიუნსტერის, იენის (გერმანია) და აარხუსის (დანია) უნივერსიტეტებში.
- 1979-1981 წწ. დოღლაურსა და ბერიკლდეებზე არქეოლოგიური გათხრების ექსპედიციის ხელმძღვანელია.
- 1980-1991 წწ. არქეოლოგიური და სამუზეუმო კომპიუტერული კატალოგიზაციის ჯგუფის ხელმძღვანელია.
- 1982 წ. ტახტი-სანგინის (ტაჯიკეთი) ექსპედიციის წევრია.
- 1984 წ. მიენიჭა ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი.
- 1985-1993, 2004, 2007, 2013-2015 წწ. დედოფლის გორაზე არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელია.
- 1991 წ. მცხეთის რაიონის პრეფექტია.
- 1991 არქეოლოგიური გათხრების ხელმძღვანელია გორის ციხეზე.
- 1994-2002 წწ. კახეთის (ქართულ-გერმანული არქეოლოგიური ექსპედიცია), ექსპედიციის წევრია.
- 1995 წ-დან გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსია.
- 1996-1997 წწ. ტახტიძირის ექსპედიციის ხელმძღვანელია.
- 2000 წ. შავიზღვისპირეთის არქეოლოგიისა და კულტურის ისტორიის ცენტრის წევრ-კორესპონდენტია.
- 2002 წ. Ancient West and East (ლეიდენი-ბოსტონი-კიოლნი) საკონსულტაციო საბჭოს წევრია.
- 2004 უმ-ლეიზუნის (ისრაელი) ექსპედიციის ხელმძღვანელია.

- 2005 წ. დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.
- 2006 წ. აირჩიეს თბილისის საკრებულოს წევრად.
- 2006 წ. სვეტიცხოველში სარესტავრაციო სამუშაოებთან დაკავშირებით ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების ექსპედიციის ხელმძღვანელია.
- 2006 წ. დედოფლისწყაროს არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელია.
- 2006-2007, 2010 წწ. დალია (კვიპროსი) ექსპედიციის ხელმძღვანელია.
- 2006-2013 წწ. ყარაჯამირლის (აზერბაიჯანი) აზერბაიჯანულ-ქართულ-გერმანული არქეოლოგიური ექსპედიციის მონაწილეა საქართველოს მხრიდან.
- 2008-2009 წწ. დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრია.
- 2009 წ. 2008 წლის ომში საქართველოს რუსეთზე მორალური გამარჯვების აღსანიშნავად დაჯილდოვდა ომისა და გამარჯვების ბრიტანული მედლებით.
- 2010-2014 წწ. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოში არქეოლოგიური მემკვიდრეობის მართვის სამსახურის უფროსია.
- 2010 წ. დაჯილდოვდა ბრწყინვალეების საპრეზიდენტო ორდენით.
- 2011 წლიდან დღემდე საქართველოს ეროვნული მუზეუმის მეცნიერ-კონსულტანტია.
- 2012-2013 წწ. დოღლაურის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელია.
- 2012 წ. დვანის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელია.
- 2013 წ. მიენიჭა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი წოდება
- 2015 წ. გადარჩენითი არქეოლოგიური ექსპედიციის (ბერიკლდეები-2) ხელმძღვანელია.

The Main Dates of Iulon Gagoshidze's Life and Activity

1935 was born on July 17 in Tbilisi, Georgia.

1953 graduated from the 7th Boys School with a gold medal.

1953-1958 studied at Tbilisi State University, Department of History.

1958-1961 was a post-graduate student at S. Janashia State Museum of the Georgian Academy of Sciences to specialize in antique archaeology.

Since 1961 he has been working at S. Janashia State Museum of Georgia (currently – Georgian National Museum) in various positions: Junior Fellow Researcher, Secretary, Senior Scientist, Head of the Department, Chief Scientist.

1956 a member of the expedition in Pitsunda.

1957, 1958, 1978 a member of the expedition in Mtskheta.

1957, 1958, 1959 a member of the expedition in Vani.

1958-1963 a member of expedition in Urbnisi.

1960 a member of the expedition in Mirmekioni (Crimea).

1962-1963 deputy head of the expedition in Itkhvisi.

1965 was awarded a title of the Candidate of Historical Sciences.

1965 – 1990 gave lectures in Armenian cultural history in the Department of Oriental Studies at Tbilisi I. Javakhishvili State University.

1966 a member of the expedition in Sachkhere.

1966-1972, 1976 head of the expedition in Samadlo.

1968-1982 head of the expedition in Ksany valley.

1969-1970 a member of the expedition in Kakheti (Vachnadziani, Sadugha).

1971 head of the archaeological excavations in Kavtiskhevi Tsikhiagora.

1972-1984, 2014 head of the archaeological expedition in Dedoplis Gora.

1975-1987 a consultant-editor of „The Georgian Soviet Encyclopedia” in archaeology.

1978 head of the archaeological excavations in Tkhota mountain.

1978-1988 worked at Scientific Information Center of the Georgian Academy of Sciences as head of the group of computer cataloging of archaeological and museum materials

1978-2003 gave lectures at Tbilisi I. Javakhishvili State University, Georgian Technical University, Halle, Münster, Jena (Germany) and

Aarhus (Denmark) Universities.

1979-1981 head of the archaeological expeditions in Doghlaura and Berikldeebi.

1982 a member of the expedition of Takht-i-Sangini (Tajikistan).

1984 was awarded the Doctor's degree of Historical Sciences.

1985 -1993, 2004, 2007, 2013 – 2015 head of the archaeological excavations at Dedoflis Gora.

1991 was a Prefect of Mtskheta.

1991 head of the archaeological excavations in Goris Tsikhe.

1994-2002 a member of the expedition in Kakheti (Georgian-German Archaeological Expedition).

Since 1995 an academician at Gelati Academy of Sciences.

1996-1997 head of the expedition in Takhtidziri.

2000 a corresponding member of the Black Sea Archaeology and Cultural History Center.

2002 a member of the Advisory Board of the Ancient West and East (Leiden-Boston-Cologne).

2004 head of the expedition in Umm-leizun (Israel).

2005 was awarded a „Medal of Honor”.

2006 was elected as a member of the City Council.

2006 head of the expedition of the archaeological excavations related to the restoration works in Sveticxoveli.

2006 head of the archaeological expedition in Dedoplistskaro.

2006-2007, 2010 head of the expedition in Ghalia (Cyprus).

2006-2013 a participant of the Azerbaijan-Georgian-German archaeological expedition in Qarajamirli (Azerbaijan) on behalf of Georgia.

2008-2009 Georgian State Minister for Diaspora Issues.

2009 was awarded the British Order of Victory as a symbol of the Georgian moral victory in the war with Russia in 2008.

2010-2014 head of the Archaeological Heritage Management Department at the National Agency for Cultural Heritage Preservation.

2010 was awarded the Presidential Order of Excellence.

Since 2011 a scientific advisor at the Georgian National Museum.

2012-2013 head of the archaeological expedition in Doghlauri.

2012 head of the archaeological expedition in Dvani.

2013 was awarded a rank of full professor at Ilia State University.

2015 head of the archaeological expedition (in Berikldeebi-2).

იულონ გაგოშიძის შრომები Iulon Gagoshidze's Works

1947

1. არხილოსკალო: [დედოფლისწყაროს რ-ნი] // პიონერი. – 1947. – N10. – გვ. 16-17.

1962

